სეგ

ს/ნ 402098314

სახანძრო ექსპერტიზის ბიურო

არსებული ობიექტის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება სახანძრო უსაფრთხოების ნაწილში

ანგარიში

№ BI-037

თარიღი:

27.02.2026წ.

დამკვეთი-განმცხადებელი : შ.პ.ს. „ევროპის უნივერსიტეტი“ (ს/ნ: 201954956)

იურიდიული მისამართი : ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზ. № 76

ტელეფონი: 577055878

შენობის მისამართი: ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზ № 76, შენობა № 2 (ს/კ: 01.12.01.004.137)

ობიექტის ფუნქციური დანიშნულება : უმაღლესი სასწავლებელი

ხელშეკრულება: № G-18

შემსრულებელი ინსპექტორი : მამუკა ყირიმელი

წინამდებარე ინსპექტირების დასკვნა მოიცავს უმაღლესი სასწავლებლის დაკავებულობის სახანძრო უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასება/ინსპექტირებას.

ინსპექტირების დროს გამოყენებულ იქნა ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება და ტექნიკური რეგლამენტი „სახანძრო უსაფრთხოების წესების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 370-ე დადგენილება.

კვლევითი ნაწილი

საინსპექციო ობიექტი წარმოადგენს ხუთ სართულიან შენობას, სადაც მინუს პირველ სართულზე მოწყობილია შემოზღუდული ავტოსადგომი, პირველ სართულზე განთავსებულია მისაღები სივრცე და ბიბლიოთეკა, ხოლო დანარჩენ სართულები უკავია სასწავლო აუდიტორიის ოთახებს.

ობიექტის სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ორგანიზაციული ღონისძიებები

ტექნიკური რეგლამენტის მუხლი 5 პუნქტი 5-ის და დანართი 6-ის მოთხოვების შესაბამისად, ობიექტის პერსონალს უტარდება ინსტრუქტაჟები სახანძრო უსაფრთხოების თემებზე.

ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლი პუნქტი 6-ის და მე-5 მე-2 ქვეპუნქტის მოთხოვნების შესაბამისად არის დანიშნული პასუხისმგებელი პირები სახანძრო უსაფრთხოებაზე და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების ექსპლუატაციაზე , ასევე არის შემუშავებილი ინსტრუქციები პერსონალის მოქმედების შესახებ ხანძრის გაჩენის შემთხვევაში რეგლამენტის მე-5 მუხლის პ. 8 მოთხოვნების შესაბამისად.

ობიექტი უზრუნველყოფილია საევაკუაციო გეგმებით, რომლებიც შესრულებულია არსებული ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად, რაც აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტის 4-ე დანართის და მუხლი 5 პ. 7-ის მოთხოვნებს.

ტექნიკური რეგლამენტის მე-8 მუხლის პ.1 მოთხოვნების შესაბამისად საევაკუაციო გზები უზრუნველყოფილია გასასვლელების განათებული მაჩვენებლებით „EXIT".

თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრულია „112"-ს აბრები, რაც შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტის მუხლი 4 პ. 8

ობიექტი უზრუნველყოფილია სათანადო მარკირების და რაოდენობის ცეცხლსაქრობებით, რაც შეესაბამება რეგლამენტის მუხლი 14 პუნქტი 1-ლი და დანართი 7-ის მოთხოვნებს.

შენობის საევაკუაციო გასასვლელი გზა კიბეები შეესაბამება №370-ე ტექნიკური რეგლამენტის მუხლი: 7 პუნქტი 1-ის მოთხოვნებს.

კვამლის ავტომატური აღმომჩენი და სახანძრო განგაშის სისტემაები

ტექნიკური რეგლამენტის №41 დადგენილების 907.5-ის ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად ობიექტზე მოწყობილია კვამლაღმომჩენი, საგანგაშო ხმოვანი, საკომუნიკაციო, ვიზუალური და ხელით სამართავი სახანძრო განგაშის კოლოფებით, რომლებიც მიერთებულია შენობის მინუს პირველ სართულზე განთავსებულ განგაშის საკონტროლო მრავალბლოკიან სამისამართო პანელთან, ასევე რეპიტერი მოწყობილია შენობის პირველ სართულზე მისაღებ სივრცეში 24 საათიანი მეთვალყურეობის ქვეშ.

შერჩევის მეთოდით გააქტიურებული იქნა კვამლის დეტექტორები და ხელით სამართავი საგანგაშო ღილაკი, რა დროსაც ამოქმედდა განგაშის საკომუნიკაციო, საგანგაშო ხმოვანი და ვიზუალური სისტემები.

ობიექტის კვამლაღმომჩენი, განგაშის საკომუნიკაციო, საგანგაშო ხმოვანი და ვიზუალური სისტემები არის მუშა, გამართულ მდგომარეობაში.

ავტოსაშხეფი სისტემა

ტექნიკური რეგლამენტის 903.2.11.1 ქვეთავის შესაბამისად -1 სართულზე არსებულ ავტოსადგომში მოწყობილია ავტოსაშხეფი სისტემა. ავტომატური საშხეფი სისტემა წყლით მარაგდება შენობის მინუს სართულზე განთავსებული 70 მ³ სახანძრო ავზიდან, რომლის შევსება ხორციელდება ქალაქის წყალსადენის ქსელიდან 40 მმ$^{\phi}$ მილით. ავზის მიმდებარედ, შენობის მინუს სართულზე მოწყობილია სატუმბი სადგური, რომელსაც გააჩნია გარე ტერიტორიიდან დამოუკიდებელი ჩასასვლელი. სატუმბი სადგური დაკომპლექტებულია ორი 75 მ³/სთ წარმადობის, 30 კვტ, H-80

სიმძლავრის ძირითადი და სარეზერვო, ასევე პირველადი ჟოკეი ტუმბოთი. შემოწმებისას შენობის მინუს სართულზე გაიხსნა საკონტროლო სარქველი, რა დროსაც სისტემაში წნევის დაცემის შემდეგ ჩაირთო პირველადი ჟოკეი და შემდგომ ძირითადი სახანძრო ტუმბო, რომლის ხელოვნურად გათიშვისას ჩაირთო სათადარიგო ტუმბო. ძირითადი ელექტრომომარაგების წყაროს ხელოვნურად გათიშვისას ავტომატურად ჩაირთო სარეზერვო ელ. კვება (დიზელ გენერატორი), სისტემამ მუშაობა გააგრძელა სათანადო რეჟიმში. შენობის ფასადზე ადვილად მისადგომ ადგილას მოწყობილია სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი, რაც შეესაბამება 912 ქვეთავის მოთხოვნებს.

მილდგარების სისტემა: რეგლამენტის 905 ქვეთავის შესაბამისად, შენობის ავტოსადგომში და სართულების დერეფნებში არსებულ ავტოსაშხეფ სისტემასთან გაერთიანებულ 100 მმ$^{\varnothing}$ მილდგარზე მოწყობილია სახანძრო კარადები კომბინირებული 51 მმ$^{\varnothing}$ და 77 მმ$^{\varnothing}$ მისაერთებლებით. ინსპექტირებისას პრაქტიკულად შემოწმდა შენობის ბოლო სართულზე დამონტაჟებული სახანძრო ონკანი, კერძოდ: წყლის წნევის საზომი მექანიკური მანომეტრი მიერთებული იქნა სახანძრო ონკანზე, გაიხსნა წყლის მიწოდების მარეგულირებელი სარქველი, რა დროსაც მექანიკურ მანომეტრზე დაფიქსირდა 4,0 bar-ი.

კვამლის საკონტროლო სისტემა

ლიფტის შახტის დაწნევა: საინსპექციო შენობაში მოწყობილია ერთი ლიფტის შახტა, რომლის დაწნევა ხორციელდება შენობის სახურავზე დამონტაჟებული 250 pa. 20000 მ^3/სთ წარმადობის ვენტილატორით. შემოწმებისას მიწისზედა მეორე სართულზე ხელოვნურად გააქტიურებული იქნა ხელით სამართავი სახანძრო განგაშის ღილაკი, რა დროსაც ჩაირთო ვენტილატორები, ლიფტი ავარიულ რეჟიმში გაჩერდა პირველ სართულზე, ჰაერის წნევის შემოწმებისას ლიფტის შახტაში დაფიქსირდა 57 Pa. რაც შეესაბამება 909.21 და 909.21.4.4. ქვეთავების მოთხოვნებს.

კიბის უჯრედის დაწნევა: შენობაში არის ერთი ღია და ერთი შემოზღუდული კიბის უჯრედი, რომლის დაწნევა ხორციელდება სახურავზე დამონტაჟებული 250 pa. 19000 მ^3/სთ წარმადობის ვენტილატორით. ჰაერის შედინება ხდება ზევიდან ქვევით სახურავზე მოწყობილი ღიობიდან. შემოწმებისას მიწისზედა მეორე სართულზე ხელოვნურად გააქტიურებული იქნა ხელით სამართავი სახანძრო განგაშის ღილაკი, რა დროსაც ჩაირთო ვენტილატორები, ჰაერის წნევის შემოწმებისას კიბის შახტაში დაფიქსირდა 45 Pa. რაც შეესაბამება 909.20.4.4 და 909.21.4.4. ქვეთავების მოთხოვნებს.

კიბის და ლიფტის წინა ვესტიბიულის დაწნევა: მინუს სართულზე კიბეების და ლიფტის წინ მოწყობილი ტამბურების დაწნევა ხორციელდება შენობის გარე კედლიდან შემავალ თუნუქის ჰაერსატარში ჩამონტაჟებული 250 pa. 1500 მ^3/სთ

წარმადობის ორი ვენტილატორი. შემოწმებისას მინუს სართულზე ხელოვნურად გააქტიურებული იქნა ხელით სამართავი სახანძრო განგაშის კოლოფი, რა დროსაც ჩაირთო ვენტილატორები. ჰაერის წნევის შემოწმებისას პირველი კიბის ტამბურში დაფიქსირდა 32 Pa, მე-2-ში 43 Pa, ხოლო ლიფტის ტამბურში 43 Pa. ტამბურებში ჰაერის დაწნევის სისტემა შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტის 909.21 ქვეთავის მოთხოვნებს.

კიბის, ლიფტის შახტაში და ტამბურებში წნევის გაზომვისას გამოყენებული იქნა „HD 700“ მოდელის დიფერენციალური წნევის საზომი ხელსაწყო.

დერეფნების კვამლის საკონტროლო სისტემა: 1022.10.1 და 910.4.5 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად, შენობის სართულების საერთო დერეფნებში მოწყობილია ჰაერის შემომდენი და კვამლგამწოვი სავენტილაციო შახტის ღიობები, რომლებიც აღჭურვილია ცეცხლმედეგი ფარსაკეტებით. ჰაერის შედინება ხდება სახურავზე დამონტაჟებული 200 pa. 6700 მ³/სთ, ხოლო კვამლის გაწოვა ხორციელდება 220 pa. 11000 მ³/სთ წარმადობის ვენტილატორებით. შენობის მეორე სართულზე ხელოვნურად გააქტიურებული იქნა კვამლაღმომჩენი დეტექტორები, რა დროსაც ჩაირთო ვენტილატორები. საცდელ სართულებზე გაიხსნა შემომდენი და გამწოვი შახტების ფარსაკეტები. „VICTOR816B“ მარკის ციფრული ანიმომეტრით შემოწმებისას დაფიქსირებული იქნა ჰაერის შემომდენ ღიობში 3,7 მ/წმ, ხოლო კვამლგამწოვი შახტის ღიობში ჰაერის ნაკადის სიჩქარემ შეადგინა 4,5 მ/წმ. შემოწმწბისას „CONCEPT B1“ მოდელის კვამლის გენერატორით შენობის მიწისზედა მეორე სართულზე მოხდა დერეფნის ხელოვნურად დაკვამლიანება, რა დროსაც გააქტიურდა კვამლაღმომჩენი დედექტორი, შენობაში ჩაირთო საგანგაშო ხმოვანი, განგაშის საკომუნიკაციო და კვამლის საკონტროლო სისტემები, გაიხსნა ჰაერის შემომდენი და გამწოვი შახტების ფარსაკეტები, დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ კვამლის გადინება დერეფნიდან ხდებოდა შესაბამისი ინტენსივობით.

ავტოსადგომის კვამლის საკონტროლო სისტემა: 406.6.2 და 910.3.4 ქვეთავების მოთხოვნის შესაბამისად კვამლის გატანა ავტოსადგომიდან, ხორციელდება თუნუქის ჰაერსატარის მეშვეობით. არსებული ჰაერსატარი მიერთებულია შენობის სახურავზე მოწყობილ 220Pa. 60000 მ³/სთ წარმადობის გამწოვ ვენტილატორთან. „VICTOR816B“ მარკის ციფრული ანიმომეტრით შემოწმებისას ჰაერის ნაკადის გადინების სიჩქარემ შეადგინა 13,35 მ/წმ. გაწოვილი ჰაერის კომპენსაციისთვის გამოყენებულია ავტოსადგომში ჩასასვლელი პანდუსი, რომელიც განგაშის ჩართვის დროს ავტომატიურად იღება. შემოწმებისას მინუს სართულზე „CONCEPT B1“ მოდელის კვამლის გენერატორით მოხდა ავტოსადგომის ხელოვნურად დაკვამლიანება, შენობაში ჩაირთო საგანგაშო ხმოვანი, განგაშის საკომუნიკაციო და კვამლის საკონტროლო სისტემები. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ კვამლის გადინება ავტოსადგომიდან ხდებოდა შესაბამისი ინტენსივობით.

909.11 და 909.21.5 ქვეთავების მოთხოვნის გათვალისწინებით ავტოსაშხეფი და კვამლის საკონტროლო სისტემების ალტერნატიული ელ. კვების წყაროდ შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულია 240 კვტ. სიმძლავრის დიზელ გენერატორი.

შემოწმების პროცედურები დაფიქსირებულია ფოტო და აუდიო-ვიდეო მასალებით „POCO X7 PRO" მოდელის მობილურ ტელეფონით.

დასკვნა

ზემოთ აღნიშნული ინსპექტირება/შეფასებებიდან გამომდინარე ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზ № 76-ში (ს/კ: 01.12.01.004.137) მდებარე უმაღლესი სასწავლებლის (შენობა №2) ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება და ტექნიკური რეგლამენტი „სახანძრო უსაფრთხოების წესების შესახებ" საქართველოს მთავრობის 370-ე დადგენილებებს.

ინსპექტორი: მამუკა ყირიმელი

ტექნიკური წესით გადაამოწმა ტექ. მენეჯერი: ნუგზარ მაისურაძე

ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა დირექტორი: ნუგზარ მაისურაძე

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა

GAC-IB-0337

ადასტურებს, რომ

შპს „სახანძრო ექსპერტიზის ბიურო“-ს

A - ტიპის ინსპექტირების ორგანო

აკრედიტებულია სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის

მოთხოვნებთან შესაბამისობაზე თანდართულ სფეროში

მის.: ქ. თბილისი, სამტრედიის ქ. №17

გაცემულია 19 თებერვალი 2024 წელი

ძალაშია 19 თებერვალი 2028 წელი

იხ. სფერო და სტატუსი

გენერალური დირექტორი

აკრედიტაციის მოწმობის ნომერი **GAC-IB-0337**
განკარგულება N06/39
თარიღი: 19.02.2024

„ვამტკიცებ“
აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორი
ნათია მჭელაძე



A-ტიპის ინსპექტირების ორგანოს

აკრედიტაციის სფერო

შპს „სახანძრო ექსპერტიზის ბიურო“

მისამართი : ქ.თბილისი სამტრედიის ქუჩა N17;

	ინსპექტირების ობიექტი	ინსპექტირების ტიპი და ზღვარი	მეთოდები და პროცედურები
1	ობიექტის ან მისი ნაწილის სახანძრო უსაფრთხოების ტექნიკური მდგომარეობის ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: არსებული ობიექტის (სახანძრო უსაფრთხოების ნაწილი) მდგომარეობის შესაბამისობის შეფასება საპროექტო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერების (ფოტოფიქსირების ჩათვლით), აზომვებისა და გაზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП - ნაწილი 3); 2. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП - ნაწილი 2); 3. ტექნიკური რეგლამენტი - „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის 2015 წ. 23 ივლისის დადგენილება N370) 4. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 დეკემბერის დადგენილება N 732. (ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“) 5. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წ. 28 იანვრის დადგენილება №41); 6. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ) 7. ინსპექტირების პროცედურები.
2	პროექტის სახანძრო უსაფრთხოების ნაწილის მოქმედ დოკუმენტაციასთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროეტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან.და დადგენილ მოთხოვნებთან	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СниП -ნაწილი 2) 2. ტექნიკური რეგლამენტი „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2015 წ. 23 ივლისის დადგენილება N370) 3. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წ. 28 იანვრის დადგენილება N 41) 4. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЕ) 5. ინსპექტირების პროცედურები.

საექსპერტო შეფასება

შესრულებულია არქიტექტურული პროექტის "ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები "დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, დ. გურამიშვილის #76 მდებარე #01.12.01.004.137 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ,

საპროექტო დავალებით გათვალისწინებულია ოთხ (4) სართულიანი უნივერსიტეტის შენობის მშენებლობა.

საფუძველი: "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა- ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტი.

წარმოდგენილი მასალა: არქიტექტურული პროექტი ("მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილების 21-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობით).

საექსპერტო შეფასების ზოგადი აღწერა მოიცავს:

ა) დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;

ვ) მისაწვდომობის შეფასებას;

ზ) ლიფტისადმი მოთხოვნებს

თ) სახურავის ანაწყობების შეფასებას;

ი) ხანძრისაგან დაცვის სისტემის შეფასებას;

კ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას

ა) დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის ჯგუფი შეესაბამება 302-ე ქვეთავს.

პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი დაკავებულობები:

-3.10 ნიშნულზე: სწ-2 პარკინგი

0.00 ნიშნულზე: თვ-3 ბიბლიოთეკა

სხვა დანარჩენ ნიშნულზე: სქ უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიები

დაკავებულობის დატვირთვის ნაწილში საპროექტო დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაცია აკმაყოფილებს "წესების" ცხრილი 1004.1.2-ის მოთხოვნებს, კერძოდ: სწორად არის არჩეული სივრცეების დანიშნულება და შემდგომ ამ სივრცეების იატაკის ფართობი გაყოფილია შესაბამისი დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე.

სქ ჯგუფისთვის 9.3

თვ-3 ჯგუფისთვის 4.7

სწ-2 ჯგუფისთვის 18.6

დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი 231

სქ დ.დ 118

თვ-3 დ.დ 90

სწ-2 დ.დ 23

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

ექსპერტის მიერ შეფასებულ იქნა საპროექტო კონსტრუქციის ტიპი შენობისთვის I -B, რომელიც შერჩეული იქნა გამოყენებული ცეცხლმედეგი მასალებისა და შენობის დაკავებულობის, სიმაღლისა და სართულის ფართობის მიხედვით, რაც აკმაყოფილებს 503 ცხრილის მოთხოვნებს.

601 ცხრილის მიხედვით კონსტრუქციის ტიპს მოეთხოვება:

- **ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო – 2 სთ.**
- **სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები – 1⅛ სთ.**
- **იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები – 2 სთ.**

ა. სახურავის საყრდენები: სტრუქტურული ჩარჩოსა და მზიდი კედლების ცეცხლისაგან დაცვის ხარისხი შეიძლება შემცირდეს 1 სთ-ით, თუ მხოლოდ სახურავს ზიდავს.

გ. სმ-1, დსშ, სვ და სწ-1 ჯგუფის დაკავებულობების გარდა, ნაგებობის ნაწილებს, სახურავის ჩარჩოს და ფენილს არ სჭირდება ცეცხლმედეგობის ხარისხი, თუ სახურავის კონსტრუქციის ყოველი ნაწილი უშუალოდ მის ქვეშ მდებარე იატაკიდან 6,0 მ-ით ან მეტით ზემოთაა. ასეთი დაუცველი ელემენტებისთვის შეიძლება გამოიყენებოდეს ცეცხლმედეგობისათვის დამუშავებული ხის ელემენტები.

გ. სადაც აუცილებელია 1 სთ ან ნაკლები ცეცხლმედეგობის ხარისხი, ყველა ფართობზე დასაშვებია მასიური ხის გამოყენება.

აღნიშნული სრულად აკმაყოფილებს 601-ე ცხრილის მოთხოვნებს.
რაც შეეხება შენობის გარე არამზიდ კედლებს, პროექტით წარმოდგენილი ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს გარე კედლებისადმი მოთხოვნებს: გარე კედლების 1-5 და 5-1 ფასადები საკადასტრო ხაზიდან მოშორებულია 4.85-5.00 მეტრით, მათ ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნის მიხედვით აქვს 1 სთ. ზ-ა ფასადი განთვსებულია 6,45 მ მოშორებით მიმდებარე შენობის ფასადამდე. ა-ზ ფასადის ნაწილი 9 მ; ნაწილი 4.8001. ყველა გარე კედელს გააჩნია 1 სთ. ცეცხლმედეგობის ხარისხი.

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

პროექტით გათვალისწინებულია +15 მ. სიმაღლის 4 სართულიანი (+1 მიწისქვედა) შენობის მშენებლობა. წესების 503-ე სხრილის მიხედვით I-B კონსტრუქციის შენობა შეიძლება იყოს, 48.8 მ სიმაღლის, შეუზღუდავი ფართობისა და 11 სართულის მძლე შენობა, შესაბამისად საპროექტო ობიექტი ზემოაღნიშნული მახასიათებლებით აკმაყოფილებს "წესების" 503-ე სხრილის მოთხოვნებს.

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება;

თითოეულ სართულზე გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილის სიგრძე აკმაყოფილებს 1016.2 სხრილის მოთხოვნებს. უკიდურესი წერტილიდან პროექტით გათვალისწინებული სავალი მანძილი. 28.5 მ.

აღნიშნული მანძილი არ აღემატება 1016.2 სხრილში მოცემულ დასაშვებ მანძილებს.

პროექტით გათვალისწინებულია 2 გზა-კიბე. თითოეულ სართულს ემსახურება მინიმუმ 2 გასასვლელი. ისინი ერთმანეთისგან მოშორებულია 9 მეტრზე მეტი მანძილით და მათი განთავსება არ ქმნის ისეთ ჩიხურ დერეფნებს რომლებიც არ არის დასაშვები.

პროექტი ითვალისწინებს 1,80 მ დერეფანს. წესების მიხედვით მინიმალური სიგანე დასაშვებია იყოს 1.50 მ.

დერეფნის კედლებს გააჩნია ერთ საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი. სართულზე განთავსებულ გასასვლელებს შორის მანძილი შენობის დიაგონალის ნახევარზე მეტია. მანძილი გაზომილია სავალი ტრაექტორიით რადგან შენობა აკმაყოფილებს 1015.2.1 პუნქტის მოთხოვნებს.

პროექტი ითვალისწინებს 1,80 მ დერეფანს. წესების მიხედვით მინიმალური სიგანე დასაშვებია იყოს 1.50 მ.

გასასვლელი კარების მინიმალური თავისუფალი სიგანე გათვალისწინებულია არანაკლებ 0.82 მ.

შენობის გასასვლელი გზა-კიბე გადის შენობის გარეთ შუალედური სივრცის გარეშე.

ასასვლელები გადის პირდაპირ შენობის გარეთ და უკავშირდება მიწის დონედ, რაც აკმაყოფილებს 1027.1 ქვეთავის მოთხოვნას.

შენობიდან საზ. სივრცეში გამოსვლა ხდება დაუბრკლებლად , რაც აკმაყოფილებს ამავე ქვეთავის მეხუთე პუნქტის მოთხოვნას.

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება:

გზა კიბის მარშის სიგანე წესების მოთხოვნის მიხედვით, სახელურებს შორის არის 1.20მ. კიბის ბაქნები არის მინიმუმ 1.20

კიბეს არ აქვს ტამბური, არ მოეთხოვება დაწნევის სისტემა სიმაღლიდან გამომდინარე. ღიობის გარეშე კიბეს აქვს მექანიკური განიავება.

გზა-კიბის საზღვრებში გასასვლელის თავისუფალი სიმაღლე არ არის 2.05 მ-ზე ნაკლები და შესაბამისობაშია 1009.5 ქვეთავთან.

კიბის საფეხურების ზომები შეესაბამება 1009.7 ქვეთავს.

გზა-კიბის ბაქნები არ არის გზა-კიბის მარშის სიგანეზე ნაკლები.

კიბის მიმართულებით გაღებული კარი არ ამცირებს ბაქნას აუცილებელი სიგანს ნახევარზე მეტად.

კიბეებში განთავსებულია 0.76 x 1.30 ზომით თავშესაფრის სივრცე.

კიბის მოაჯირები და სახელურები აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს.

ვ) მისაწვდომობის შეფასება:

შენობის ყველა ნაწილში და მის გარეთაც საკადასტრო ერთეულის ფარგლებში უზრუნველყფილია მისაწვდომობა. შენობის პირველი სართული მდებარეობს მიწისპირა ნიშნულზე.

შენობის ყველა გასასვლელი არის მისაწვდომი, კერძოდ პირველი სართული მოწყობილია მიწისპირა 0.000 ნიშნულზე, არცერთი კარის თავისუფალი სიგანე არ არის 0.82 სმ-ზე ნაკლები. შენობის ყველა სართულზე მოხვედრა შესაძლებელია ლიფტით.

(დაწვრილებით ეროვნულ სტანდარტებთან შესაბამისობა წარმოდგენილია ცალკე დოკუმენტად)

ზ) ლიფტისადმი მოთხოვნები

პროექტით გათვალისწინებულია 1 ლიფტის მოწყობა, რომელშიც საკაცის მოთავსება არის შესაძლებელი, ლიფტისა და კიბის შემოზღუდვა ხდება მიწისქვედა ნიშნულზე. ლიფტს აქვს დანწევის სისტემა.

თ) სახურავის ანაწყობების შეფასება:

სახურავის სტრუქტურისა და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 601-ე ცხრილის მიხედვით, საპროექტო შენობის გადახურვა აკმაყოფილებს "წესებით" განსაზღვრულ 1 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს, არის მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციის, მრავალშრიანი ბრტყელი გადახურვა, მცირე ქანობით. გააჩნია წყალარინი ღარები და მილები. პროექტით გათვალისწინებულია პარაპეტის მოწყობა.

ი) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება:

საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია:

- ხელის ცეცხლმაქრები (906 ქვეთავი)
- სახანძრო მილდგარების სისტემები (დერეფანი) (905 ქვეთავი)
- კვამლის საკონტროლო სისტემები (909)
- სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები (907 ქვეთავი)
- ავტოსაშხეფი სისტემა (903 ქვეთავი)
  (მხოლოდ მიწისქვეშა სართულზე)

დანაჩენ სართულებს წესების მოთხოვნებიდან გამომდინარე არ ჭირდება ავტოსაშხეფის მოწყობა:

1. სართულიდან გასასვლელები 1015. ქვეთავის მიხედვით არის დაგეგმარებული, დერეფნებს აქვს 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი და მანძილი გასასვლელებს შორის გაზომილია სავალი მანძილით
2. კიბეებში მოწყობილია თავშესაფრის ფართობი
3. დერეფანში არ იქმნება ჩიხები.

შენობაში მოწყობილია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა. რომელიც ადვილად მისაგნები და მისაწვდომია.

სახანძრო განგაშის სისტემა აქტიურდება ცეცხლის ავტომატური აღმომჩენებით, საშხეფის წყლის ჭავლის მართვის მექანიზმებით, სახანძრო

განგაშის ხელით სამართავი კოლოფებით, ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემებით.

სისტემების ამუშავებისას უნდა გამოიცეს სიგნალი რომელსაც მოყვება ხმოვანი ინსტრუქცია თუ როგორ უნდა განხორციელდეს საერთო ან ეტაპობრივი ევაკუაცია შენობიდან. რუპორები უნდა განთავსდეს მთელს შენობაში:

ლიფტებთან, გასასვლელის გზა-კიბეებზე, ყოველ იატაკზე და თავშესაფრის ფართობზე. ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემებს უნდა ქონდეს საავარიო ელექტრომომარაგება,

კვამლის საკონტროლო სისტემის გააქტიურებისას ამოქმედდება ხმოვანი განგაში. შენობაში მოწყობილ კვამლის საკონტროლო სისტემას ეძნება სათადარიგო ელექტრომომარაგებაც.

შენობაში, სივრცეებში სადაც არ არის ბუნებრივი განიავება, მოწყობილია მექანიკური განიავება. (სველი წერტილები, კიბის უჯრედები, ტამბურები, მიწისქვეშა სართული). კვამლის გაწოვა და ჰაერის კომპენსრება საჭიროა მიწისქვეშა სართულზე. დაწნევის სისტემა საჭიროა ლიფტის შახტასა და ტამბურში.

ხანძრისგან დაცვის სისტემების განთავსება პირობითია და საჭიროებს დეტალურ საინჟინრო პროექტირებას.

კ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების

შეფასება:წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობები შეესაბამება დაკავებულობის ტიპს, მათი რაოდენობა კი -1602.1 ცხრილში მოცემულ მინიმალურ რაოდენობას. უნიტაზების რაოდენობა უნდა იყოს ყოველ 25 დამკავებელზე ერთი. შესაბამისად, დამკავებელთა რაოდენობა არის 231 და 9 უნიტაზის ნაცვლად ჯამში 24 უნიტაზია შენობაში - 6 უნიტაზით თითოეულ სართულზე. ხელსაბანების რაოდენობას უნდა იყოს 40 დამკავებელზე ერთი ცალი, ჯამში შენობაში მოწყობილია 24 ხელსაბანი.

შენიშვნები:

მუშა დოკუმენტაციისა და საინჟინრო კომუნიკაციების დამუშავებისას გათვალისწინებული იქნას წესების მოთხოვნები.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ტექნიკურ რეგლამენტთან - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები" შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილების („მშენებლობის ნებართვის

გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის მიხედვით.

საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული (სანებართვო) პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბმისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

დასკვნა

ქ. თბილისში, გურამიშვილის ქ. №76-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე 01.12.01.004.137 4 სართულიანი უნივერსიტეტის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები "დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან და ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

ექსპერტი არქიტექტორი : ნინო ქობულაძე

ნ. ქობულაძე



2024 ข.

„მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“

ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შეფასდა

ქალაქ თბილისში ქალაქ თბილისში, დ. გურამიშვილის #76 მდებარე #01.12.01.004.137 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, უნივერსიტეტის არქიტექტურული პროექტის

✓მისაწვდომი სვლაგეზი:

• მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები;

• თითოეული კარი და კართან მანევრირებისთვის საჭირო სივრცეები;

• პანდუსები;

• ლიფტი.

✓ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები:

• მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცეები;

• მისაწვდომი გზაკიბეები;

• ფანჯრები.

✓წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები:

• ტუალეტების ოთახები:

• უნიტაზები;

• ხელსაბანები;

✓საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:

• ნიშნები;

მისაწვდომი სვლაგეზი:

საპროექტო მიწის ნაკვეთსა და საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-4 თავის დებულებებს. მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს არაუმეტეს 1:20 დახრილ სავალ ზედაპირებს, კარებს, პანდუსს და ლიფტს, რაც შეესაბამება 402.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

1. მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება 403 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- იატაკის ზედაპირები არის მდგრადი, მყარი და არასრიალა, რაც შეესაბამება 302 ქვეთავის მოთხოვნას.

- საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით მოწყობილი სავალი ზედაპირის დახრილი სვლა არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, ხოლო სავალი ზედაპირის განივი დახრა არ აღემატება 1:48-ს, თანახმად 403.3 ქვეთავისა.

- იატაკის ზედაპირებზე დონე არ იცვლება, შესაბამისად დაკმაყოფილებულია 303-ე ქვეთავის მოთხოვნა. იატაკის დონის ცვლილების შემთხვევაში, დარბაზის შემთხევვაში უზრუნველყოფილია სხვადასხვა დონეებზე დამოუკიდებელი მისაწვდომი შესასვლელი.

- მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში უტოლდება 900 მმ-ს, ხოლო შენობის გარეთ - 1200 მმ-ს, რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 90 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.3.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.

2. კარები და გზა-კარები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 404 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული ყველა გზა-კარის თავისუფალი სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები, ძირითადად კარის თავისუფალი სიგანეები არის 900 მმ. რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებულ ყველა კართან და გზა-კართან უზრუნველყოფილია მანევრირებისათვის თავისუფალი სივრცე 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად. მანევრირებისთვის

აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302-ე ქვეთავს და მათი ზედაპირი არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 404.2.3 და 404.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

- გზა-კარების ზღურბლების სიმაღლე არაუმეტეს 13 მმ-ია, რაც შეესაბამება 404.2.4 ქვეთავის მოთხოვნას. რაც შეეხება ამავე ქვეთავით განსაზღვრულ იატაკის დონეებს შორის ცვლილების საკითხს, კარებთან იატაკის დონეები უცვლელია.

- კარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს არაუმცირეს 860 მმ და არაუმეტეს 1200 მმ სიმაღლეზე, რაც შეესაბამება 404.2.6.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში, შვეულად გაზომვისას, კარების ზედაპირები გლუვია მიწოლის მხარეს და ასეთი გლუვი ზედაპირები კარის მთელ სიგანეზე გრძელდება. კარის კავეული და ნებისმიერი სხვა შემაფერხებელი ან გამოშვერილი ნაწილი, არ არის მოწყობილი იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 404.2.9 ქვეთავის მოთხოვნებს.

- 705-ე ქვეთავის შესაბამისი ამოცნობადი გამაფრთხილებლები მოწყობილია შემდეგი ნორმების დაცვით:

• ამოცნობადი გამაფრთხილებლების კონტრასტი სხვა ზედაპირებისაგან შესაბამისობაშია 705.3 ქვეთავთან.

• ამოცნობადი გამაფრთხილებლების სიღრმე და სიგანე შეესაბამება 705.6 ქვეთავს.

• ამოცნობადი გამაფრთხილებლები განთავსებულია ბორდიურის უკან, პანდუსის ზედაპირზე, თანახმად 705.7.1 ქვეთავის მე-2 პუნქტისა.

ადგილის და შენობის ელემენტები:

1. საპროექტო მიწის ნაკვეთზე მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცეების რაოდენობა და ტიპი დარეგულირებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების საფუძველზე. ასეთი მისაწვდომი ავტოსადგომებისადმი მოთხოვნები კი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-5 თავის დებულებებს, კერძოდ:

- მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის გასაჩერებელი სივრცის სიგანე უტოლდება 2500 მმ-ს, რაც პასუხობს 502.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- მსუბუქი ავტომობილის გასაჩერებელი სივრცე დახაზულია, თანახმად 502.3 ქვეთავისა.

- მსუბუქი ავტომობილის გასაჩერებელ სივრცეს ესაზღვრება მისაწვდომი გასავლელი. მისაწვდომი გასავლელი ესაზღვრება მისაწვდომ სვლაგეზს. მისაწვდომი გასავლელი არ ფარავს საავტომობილო გზას. მისაწვდომი ავტოსადგომების გასაჩერებელი სივრცის მისაწვდომი გასავლელის სიგანე უტოლდება 1500 მმ-ს, ხოლო მათი სიგრძე გრძელდება იმ ავტოსადგომი სივრცის მთელ სიგრძეზე, რომელსაც ის ემსახურება. მისაწვდომი გასავლელები აღნიშნულია გრაფიკულად, გასავლელებში პარკინგის თავიდან ასაცილებლად. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 502.4 – 502.4.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ავტოსადგომი სივრცეები და მისაწვდომი გასავლელები შეესაბამება 302 ქვეთავს და მათი ზედაპირებები არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. მისაწვდომი გასავლელები იმ ავტოსადგომი სივრცის დონეზე მდებარეობდეს, რომლისთვისაც ის განკუთვნილია, რაც შეესაბამება 502.5 ქვეთავის მოთხოვნას.

- მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის ავტოსადგომ სივრცეებს ემსახურება ნიშანი, რომელიც შეიცავს 703.6.3.1 ქვეთავის შესაბამის მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლოს. ასეთი ნიშნების ქვედაპირი მდებარეობს ავტოსადგომი სივრცეებს იატაკიდან არაუმცირეს, 1500 მმ სიმაღლეზე. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 502.7 ქვეთავის მოთხოვნას.

- მისაწვდომი ავტოსადგომებისათვის განკუთვნილი გასაჩერებელი სივრცეები და ამ სივრცეების მომსახურე მისაწვდომი გასასვლელები არ ხერგავს მომიჯნავე მისაწვდომი სვლაგეზებისათვის განკუთვნილ აუცილებელ თავისუფალ სიგანეს, რაც აკმაყოფილებს 502.8 ქვეთავის მოთხოვნას.

2. საპროექტო შენობაში მისაწვდომი კიბის ვალდებულების საკითხი დარეგულირებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების საფუძველზე. ასეთი მისაწვდომი კიბისადმი მოთხოვნები ასევე შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-5 თავის დებულებებს, კერძოდ:

- კიბის მარშის ყველა საფეხურს აქვს თანაბარი სიმაღლის ამაღლებები და თანაბარი სიღრმის საბიჯელები. კიბის ამაღლების სიმაღლე უტოლდება 160 მმ და საბიჯელების სიღრმე განსაზღვრულია 300 მმ-ის სახით, რაც შეესაბამება 504.2 ქვეთავს.

- კიბის მარშის საზღვრებში არ არის მოწყობილი ღია შუბლები, რაც შეესაბამება 504.3 ქვეთავს.

- საფეხურის საბიჯელები შეესაბამება 302-ე ქვეთავს და დაქანება არ არის 1:48-ზე მეტი.

- კიბის ყოველი საფეხურის და საბიჯელის 40 მმ სავალ ნაწილს, რომელიც იზომება საფეხურის ნაშვერიდან თარაზულად, აქვს ერთგვაროვანი ფერის მქონე ზედაპირი, რომელიც საფეხურის დანარჩენი ნაწილისგან მკვეთრად განსხვავებულია (მუქი ღია ფონზე). ხილვადი კონტრასტი გრძელდება ყოველი საფეხურის ერთი კიდიდან საფეხურის მეორე კიდემდე.

- კიბის საზღვრებში მოწყობილია 505 ქვეთავის შესაბამისი სახელურები.

- ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით შექმნილი, ნიშანი, წარწერით - „გასასვლელი/EXIT“ გასასვლელის გზა-კიბეში შესასვლელ ყველა კართან არის განთავსებული და ასეთივე ნიშანი განთავსებულია კიბის უჯრედიდან გარეთ გამავალ კართან. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს.

- სართულის ამოსაცნობად, შიგა გასასვლელის გზაკიბის საზღვრებში, თითოეული სართულის ბაქანთან, დერეფანში გამავალი კარის მომიჯნავედ განთავსებულია 703.3 და 703.4 ქვეთავების შესაბამისი ნიშნები. სართულის აღმნიშვნელი ნიშანი ამობურცულია და იგი გამეორებულია ბრაილში, თანახმად 703.3.1 ქვეთავისა. ბრაილის ტექსტი შეესაბამება 703.4 ქვეთავს. ასევე აღსანიშნავია, რომ ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანი განთავსებულია კარის გასწვრივ საკეტიან მხარეს. ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშნები ისეა განთავსებული, რომ კარის 45 გრადუსით გაღებისას, ნიშნის წინ შენარჩუნებულია 450X450 მმ იატაკის თავისუფალი სივრცე, თანახმად 703.3.11 ქვეთავისა.

წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები:

1. საპროექტო ფართში განთავსებული ტუალეტები შეესაბამება 603 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ტუალეტის ოთახებში უზრუნველყოფილია საპროექტო შენობებისათვის განკუთვნილი 1700 სმ იანი მოსატრიალებელი სივრცე, რაც შეესაბამება 603.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- ტუალეტის ოთახების კარის გაღებისას, ისინი არ იჭრებიან მოწყობილობებისათვის განკუთვნილ იატაკის თავისუფალ სივრცეებში, რაც შეესაბამება 603.2.2 ქვეთავს.

2. ტუალეტის ოთახებში განთავსებული უნიტაზები შეესაბამება 604 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- უნიტაზის განთავსებულია კედელთან ახლოს და უნიტაზის ცენტრიდან კედლის ზედაპირამდე მანძილი განსაზღვრულია 450 მმ-ით, რაც შეესაბამება 604.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- უნიტაზთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე 1400 მმ სიღრმისა და 1500 მმ სიგანის სახით, სადაც არ იჭრება რაიმე სახის დეტალი, რაც აკმაყოფილებს 604.3 ქვეთავის მოთხოვნას.

- უნიტაზის დასაჯდომის სიმაღლე განთავსებულია 450 მმ-ზე იატაკის ზედაპირიდან, რაც შეესაბამება 604.4 ქვეთავს.

- უნიტაზთან მოწყობილია ხელჩასაჭიდი ძელები 604.5 ქვეთავის მოთხოვნების დაცვით.

- უნიტაზთან მოწყობილი ძელები შეესაბამება 609 ქვეთავის მოთხოვნებს.

3. ტუალეტის ოთახებში განთავსებული ხელსაბანები შეესაბამება 606 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ხელსაბანთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე, 606.2 ქვეთავის შესაბამისად.

- ხელსაბანის განთავსების სიმაღლე შესაბამისობაშია 606,3 ქვეთავის მოთხოვნასთან.

საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:

1. საპროექტო შენობაში დაკმაყოფილებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების მოთხოვნები შენობებში მისაწვდომობის ნიშნების მოწყობისა და ადგილმდებარეობის თაობაზე და ყველა ასეთი ნიშანი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს, კერძოდ ნიშნები მოწყობილია ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში:

- გასასვლელის გზა-კიბეში შესასვლელ ყველა კართან, კიბის უჯრედიდან გარეთ გამავალ კართან და 0.00 ნიშნულზე გარეთ გამავალ ყველა კართან მოწყობილია ნიშანი ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით, წარწერით - „გასასვლელი/EXIT“. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრაილთან მიმართებაში.

- სართულის ამოსაცნობად, შიგა გასასვლელის გზაკიბის საზღვრებში, თითოეული სართულის ბაქანთან, დერეფანში გამავალი კარის მომიჯნავედ განთავსებულია იატაკის დონის ამოსაცნობი ნიშანი. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრაილთან მიმართებაში.

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის ავტოსადგომ სივრცეში. ნიშანი შეესაბამება 703.6.3 და 703.2 ქვეთავებს.

• ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ვიზუალური სიმბოლოები შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- სიმბოლოებს ტრადიციული ფორმა აქვთ. სიმბოლოები არ არის დაწერილი იტალიკით, დახრილად, გაკრული შრიფტით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით.

- სიმბოლოების ზომა, სიგანე, შტრიხის სიგანე, სიმბოლოებს და სტრიქონებს შორის დაშორება შეესაბამება 703.2.4 – 703.2.8 ქვეთავების მოთხოვნებს.

- ვიზუალური სიმბოლოების იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.2.4 ცხრილს.

- სიმბოლოებისა და მათი ფონის ზედაპირი არ კაშკაშებს. სიმბოლოები ფონისგან განირჩევა, ანუ სიმბოლო სიმბოლო მუქი ფერისაა, ფონი კი ღია ფერის, რაც შეესაბამება 703.2.10 ქვეთავის მოთხოვნას.

• ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ამობურცული სიმბოლოები შეესაბამება 703.3 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ამობურცული სიმბოლოები უკანა სიბრტყიდან ამობურცულია 703.3.2 ქვეთავის შესაბამისად.

- ლათინური სიმბოლოები ასახულია დიდი ასობგერებით, თანახმად 703.3.3 ქვეთავისა.

- ლათინური სიმბოლოებისთვის გამოყენებულია „SANS SERIF“-ის ტიპის შრიფტი. სიმბოლოები არ არის შესრულებული იტალიკით, დახრილად, ხელნაწერის სახით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით, თანახმად 703.3.4 ქვეთავისა.

- შრიფტის ყველა სიმბოლოს დასაშვები სიმაღლე, სიგანე, სიმბოლოებს შორის დაშორება, სტრიქონებს შორის დაშორება განსაზღვრულია 703.3.5 – 703.3.9 ქვეთავების შესაბამისად.

- სიმბოლოების იატაკის დონიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.3.10 ქვეთავის მოთხოვნას.

- ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანების განთავსების არეალები შეესაბამება 703.3.11 ქვეთავის მოთხოვნებს.

- სიმბოლოები ფონისგან განირჩევა (მუქი ფერის სიმბოლოებს ღია ფერის ფონი აქვთ), თანახმად 703.3.12 ქვეთავისა.

• ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ბრაილი შეესაბამება 703.4 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ნიშნებზე გამოყენებულია მე-2 ხარისხის ბრაილი, თანახმად 703.4.1 ქვეთავისა.

- ბრაილის წერტილებს აქვს გუმბათისებური ფორმა და ისინი შეესაბამება 703.4.3 ცხრილს.

- ბრაილის განთავსების პოზიცია შეესაბამება 703.4.4 ქვეთავს.

- ბრაილის იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.4.5 ქვეთავს.

• ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული მისაწვდომობის სიმბოლო შეესაბამება 703.6 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- მისაწვდომობის სიმბოლოები მკვეთრად განირჩევა ფონისგან, ანუ მუქი ფერის სიმბოლო მოწყობილია ღია ფერის ფონზე, თანახმად 703.6.2 ქვეთავისა.

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო შეესაბამება 703.6.3.1 სურათს.

- მისაწვდომობის სიმბოლოები და მათი ფონები არ არის ამრეკლავი.

შეფასება

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ქალაქ თბილისში, დ. გურამიშვილის #76 მდებარე #01.12.01.004.137 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, უნივერსიტეტის არქიტექტურული პროექტის მისაწვდომობის პროექტი შესაბამისობაშია ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებთან.

მისაწვდომობის პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი: ნინო ქობულაძე

თარიღი: 06.11.2024

ხელმოწერა: 